საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №319

თბილისი „02“ 04 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად საზოგადოებრივ კოლეჯად „სპექტრი“ რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანების მე-3 მუხლით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორის 2018 წლის 26 მარტის N331684 მომართვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2018 წლის 28 მარტის N350021 მოხსენებითი ბარათის გათვალიწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 10 აპრილიდან 2018 წლის 23 აპრილის ჩათვლით;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი